პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	განათლების მეცნიერებები Education Sciences
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	განათლების მეცნიერების დოქტორი PHD in Education Science
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი სასწავლო კომპონენტი: 45 კრედიტი სავალდებულოკურსები: 40კრედიტი: ○ 10 (5/5) კრედიტი - პედაგოგიკის თეორია; ○ 5კრედიტი - განათლების ისტორია; ○ 10 (5/5) კრედიტი- რაოდენობრივი კვლევა, თვისებრივი კვლევა; ○ 5 კრედიტი - დოქტორანტის სემინარი; ○ 5 კრედიტი - პროფესორის ასისტენტობა; ○ 5კრედიტი - კვლევის და პროექტების მართვის პრაქტიკული კურსი; თავისუფალი/არჩევითი კურსები - 5კრედიტი.
სწავლების ენა	პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან ჭკუასელი, თსუ - ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი
პროგრამის	პროგრამის მმართველი საბჭო: თსუ-ქეთევან ჭკუასელი, პროფესორი, რუსუდან სანაძე, ასოცირებული პროფესორი, ზაქარია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, აწსუ - იმერი ბასილაძე, პროფესორი, ვლადიმერ ადეიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ბსუ - ლელა თურმანიძე, პროფესორი, ლელა თავდგირიძე, პროფესორი, თესაუ - ნინო მოდებაძე, პროფესორი, ნინო ნახუცრიშვილი, პროფესორი. უცხოელი ექსპერტები - მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი ხარისხის განვითარების მიმართულებით, ურსულა მარკოვსკა - მანისტა, ვარშავის უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტის პროფესორი, ლიანა ბიტი, ეჯჰილის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, თსუ მოწვეული მკვლევარი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	▪ მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ დარგში; ▪ გამოცდა ინგლისურ ენაში B2 დონეზე, ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენაში B2 დონეზე და ინგლისურ ენაში B1 დონეზე; ▪ თუ განმცხადებელს სწავლის გაგრძელება სურს ინგლისური ენის სწავლების დიდაქტიკის სპეციალობით, მას ინგლისური ენის ცოდნა მოეთხოვება C1 დონეზე. ნებისმიერი სხვა ენის სწავლების დიდაქტიკის სპეციალობით სწავლის გაგრძელების მსურველს, მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე და შესაბამისი ენის ცოდნა C1 დონეზე;

	▪ არაქართულენოვანი მოქალაქისთვის ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატი, ან გამოცდა ქართულ ენაში შესაბამის დონეზე; ▪ გამოცდა სპეციალობაში; ▪ განათლების სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია, ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი განათლების სფეროში; ▪ საკვლევი თემის განვითარების ხედვა წერილობით; ▪ გასაუბრება საკვლევი თემის ირგვლივ - მოტივაციის გათვალისწინებით; ▪ თემის სავარაუდო ხელმძღვანელის თანხმობა.
პროგრამის აღწერა	განათლების მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შექმნა ეფუძნება ქვეყანაში განათლების სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესების საერთო ხედვას. ოთხი უნივერსიტეტი მკაფიოდ აცნობიერებს, რომ ქვეყნის მომავალი წარმოუდგენელია საგანმანათლებლო/სამეცნიერო სივრცის განახლებისა და გაჯანსაღების გარეშე. ამჟამად მწვავედ იგრძნობა განათლების დარგებში კვალიფიციური კადრებისა და განათლების კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ნაკლებობა. სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრაზეა მიმართული ოთხივე უნივერსიტეტის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის ერთობლივი ძალისხმევა - უნივერსიტეტებში არსებული კვლევითი და სასწავლო პოტენციალის ინტეგრირება და განათლების დარგის ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც სერიოზულ წვლილს შეიტანენ ქვეყნის განათლების სისტემის განვითარების საქმეში.

	ოთხი უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო/საგანმანათლებლო სივრცის ჰარმონიზაცია, დოქტორანტების მიმართ წაყენებული მაღალი მოთხოვნები, უნივერსიტეტების ძლიერი მხარეების შერწყმა ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მკვლევრებისა და მეცნიერების მომზადებას. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულები არიან უცხოელი ექსპერტები ჩეხეთიდან/მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი/, პოლონეთიდან /ურსულა მარკოვსკა, ვარშავის უნივერსიტეტი/ და ამერიკიდან /ლიანა ბიტი, ეჯჰილის უნივერსიტეტი/. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები გაწერილია ოთხივე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამონაწილეობით. არჩევითი კურსები შემუშავდება და ჩატარდება სტუდენტის კონკრეტული სამეცნიერო კვლევის ინტერესის გათვალისწინებით. /დარგის სწავლების დიდაქტიკა, განათლების მეცნიერებები, ციფრული ტექნოლოგიები და სხვ./. ასევე, სტუდენტს ინტერესების შესაბამისად, შესაძლებლობა აქვს არჩევითი კურსი გაიაროს ფაკულტეტზე არსებული სადოქტორო პროგრამებიდან და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებში წარმოდგენილი კურსებიდან. პროგრამაში წარმოდგენილი სავალდებულო კურსები - პედაგოგიკის თეორია და განათლების ისტორია, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, ასევე, არჩევითი კურსები, ტარდება ოთხივე წარმოდგენილ უნივერსიტეტში ცალკ-ცალკე ან ერთობლივად, უნივერსიტეტის გადწყვეტილების შესაბამისად, ხოლო კვლევის და პროექტების მართვის პრაქტიკული კურსი (5კრედიტი) ტარდება ყოველწლიურად, სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური კადრის, ან მოწვეული უცხოელი სპეციალისტის მიერ, საზაფხულო და საზამთრო სკოლის ფორმატით, ერთდროულად ოთხივე უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. კურსის მიზანია თითოეული დოქტორანტის საკვლიფიკაციო ნაშრომის კვლევის გეგმის განხილვა და შეფასება ჯგუფის წევრებისა და ექსპერტების მიერ.

	სკოლის ლოკაციას საზაფხულო სკოლის ფუნქციონირების პროცესში უზრუნველყოფს პროგრამაში წარმოდგენილი ერთ-ერთი კონკრეტული უნივერსიტეტი. რაც შეეხება დოქტორანტის დანარჩენ აქტივობებს - სემინარი და პროფესორის ასისტენტობა ტარდება შესაბამის უნივერსიტეტში, სადაც ჩაირიცხა დოქტორანტი, ხოლო სამეცნიერო პროექტებისა და სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა ტარდება პროგრამის მმართველ საბჭოზე, რომელიც წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელი ოთხივე უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და უცხოელი ექსპერტების თანამონაწილეობით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ტარდება იმ უნივერსიტეტში, სადაც ჩაირიცხა დოქტორანტი, სადისერტაციო კომისიაში ყველა დანარჩენი უნივერსიტეტიდან ჩართულია თითო - თითო წარმომადგენელი და მინიმუმ ერთი წარმომადგენელი საქართველოს რომელიმე სხვა უნივერსიტეტიდან, რომელიც არ არის გაერთიანებული წარმოდგენილ პროგრამაში. პროგრამის სამეცნიერო/სასწავლო პროცესის ერთიანი ხედვითა და პრინციპებით განხორციელების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად იკრიბება სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებზე, სადაც მსჯელობს განათლების მეცნიერებების დარგებისა და სწავლების სიახლეებზე, საგანმანათლებლო სივრცის პრობლემებზე. პროგრამის განხორციელების კონკრეტული პირობები წარმოდგენილია უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - „განათლების მეცნიერებები“ მიზანია დოქტორანტის მომზადება დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის. კერძოდ, პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს განათლების სფეროს საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება და მეცნიერული კვლევების საფუძველზე გადაწყვეტის გზების მოძიება.

	ასევე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის გამოცდილებისა და განვითარების გაზიარების კვალდაკვალ, შეძლოს ახალი ცოდნის შექმნა და მის საფუძველზე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განვითარების პროცესში. პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება რა პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების მისიას, ხედვას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ითვალისწინებს განათლების მეცნიერებების დარგების მკვლევრის მომზადებას, რომელსაც ექნება სფეროს ფუნდამენტური ცოდნა, კვლევითი უნარ-ჩვევები და პროფესიული კომპეტენციები, გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი ქვეყნის ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და განათლების სფეროს ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით, შეძლებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და კვლევით პროცესის წარმართვას. სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს განათლების მეცნიერებების დარგების მკვლევარი, რომელსაც შეუძლია: • განათლების სფეროს საჭიროებებისა და გამოწვევების ანალიზი ფუნდამენტურ მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით, განათლების მეცნიერებაში წამოჭრილი კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით; • უახლესი სამეცნიერო მიღწევების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ინოვაციური კვლევითი პროდუქტის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას; • აქტიური მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო ღონისძიებებში; • თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სწავლის შედეგები[1]	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ფლობს განათლების მიმართულების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რის საფუძველზეც დეტალურად და სიღრმისეულად მსჯელობს: • პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის თეორიულ საკითხებზე, დარგში და დარგთაშორის არსებული ცოდნის სისტემატიზაციის, მეცნიერული კვლევის ზოგად-მეთოდოლოგიურ საკითხებზე და მიუსადაგებს მათ კონკრეტულ კვლევით საჭიროებებს; • კონკრეტული დარგის დიდაქტიკის საკითხებზე - სწავლა სწავლების პრინციპები, მეთოდები, ტექნოლოგიები, შეფასების მეთოდები - სასწავლო პროცესების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებით; • ქვეყნის განათლების პოლიტიკის ძირითად ტენდენციებზე - ისტორიული რაკურსის და თანამედროვეობის გათვალისწინებით; • განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე, გეგმავს ინოვაციური მეთოდების ინტეგრირებას მულტიდისციპლინურ/ ინტერდისციპლინურ კონტექსტთან;
ბ) უნარები	პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი:

	• კრიტიკულად და სისტემურად აანალიზებს და აფასებს განათლების მეცნიერებების დარგებში სამეცნიერო სიახლეებსა თუ მიდგომებს; • დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს განათლების კვლევებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების საფუძველზე; • კვლევის შედეგების გათვალისწინებით სისტემურად აყალიბებს მეცნიერული რეკომენდაციებსა და ნორმატიული ხასიათის წინადადებებს დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის; • დოქტორანტი პედაგოგიური საქმიანობის პროცესში, თვითრეფლექსიისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების საფუძველზე, სათანადოდ იყენებს სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, შეუძლია მათი მოდიფიცირების ინიცირება;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• დამოუკიდებლად ახორციელებს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, არგუმენტირებულად წარადგენს მათ პროფესიულ წრეებში;

	• ახორციელებს საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას, შეფასებას და განსაზღვრავს საკუთარი პროფესიული განვითარების ეტაპებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ზეპირსიტყვიერი მეთოდები - მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია; წიგნზე მუშაობის მეთოდები - დამოუკიდებელი და ახსნითი კითხვა; პრაქტიკული მეთოდები - სამუშაო ჯგუფი, პროფესიული პრაქტიკა; ანალიზის და სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წერითი მუშაობის მეთოდები, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლება.
შეფასების სისტემა[2]	პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სასწავლო კომპონენტის შეფასება ითვალისწინებს: სტუდენტის ლექციაზე აქტიურობას; შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებას; სტუდენტის პრეზენტაციისა /დოქტორანტის სემინარი/ და პროექტზე მუშაობის უნარს /კოლოკვიუმი/; დამოუკიდებელ მუშაობას; შეფასება წარმოებს როგორც ზეპირი, ისე წერითი კომპონენეტებით. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

[2]პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამი სსწავლის შედეგების მიღწევას

	(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა დაცვის წინაპირობა - 2 სამეცნიერო პროექტი, ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება-რეფერირებად(Peer-reviewed) ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

	1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. 2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: ა)ფრიადი(summa cum laude)–შესანიშნავი ნაშრომი- შეფასების 91-100ქულა; ბ)ძალიანკარგი(magna cum laude)–შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება-მაქსიმალური შეფასების 81-90ქულა; გ)კარგი(cum laude)–შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება-მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ)საშუალო(bene)–საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს-მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) დამაკმაყოფილებელი(rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს-მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი,რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო-მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი(sub omnicanone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს-მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

	3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის„ა”-„ე”ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. 4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. 5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივ ესადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. 6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.
დასაქმების სფეროები	სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი შეძლებს დასაქმდეს განათლების სფეროს ნებისმიერი ტიპის/კვლევითი ან საგანმანათლებლო/ სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებაში, წარმართოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესი უმაღლეს სკოლაში;
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის სწავლის წლიურ საფასურია 5000 ლარი.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 უნივერსიტეტის 64 (22 პროფესორი, 35 ასოცირებული პროფესორი, 1 ემერიტუს-პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი) აკადემიური პერსონალი და 2 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ 1 პროფესორი ჩეხეთიდან /მასარიკი/, 1 ასოცირებული პროფესორი პოლონეთიდან /ვარშავას უნივერსიტეტი/, 1 ემერიტუს პროფესორი/ეჯჰილის უნივერსიტეტი/.

	პროგრამა ხორციელდება 4 უნივერსიტეტის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ბაზაზე. უნივერსიტეტების სარგებლობაში მყოფი შენობები და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამის მიზნებს ემსახურება თსუ - ს ეროვნულ - სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები, შესაბამისი ფაკულტეტების სამეცნიერო ბიბლიოთეკები, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობენ შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor,Ebsco, Erich, Scopus, Thomso /იხ.დანართი 13/.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუველყოფა გაწერილია ხელშეკრულებაში, დანართი -#
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი:ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: განათლების მეცნიერებების დეპარტამენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ,,განათლების მეცნიერებები“
სწავლების საფეხური: III დოქტორანტურა
კრედიტების რაოდენობა: 180
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: ქეთევან ჭკუასელი
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):2025/2026

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი ვიდატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკუმ							
სავალდებულო დისციპლინები 40 კრედიტი													
1.		პედაგოგიკის თეორია 1	5	2	1			30	15		✓		ქ.ჭკუასელი, ი.ბასილაძე, ლ.თავდგირიძე, ნ. შეროზია, დ.მახაშვილი

2.		პედაგოგიკის თეორია 2	5	1	2			15	30	პედაგოგიკის თეორია 1		✓	ქ.ჭკუასელი, ი.ბასილაძე, ლ.თავდგირიძე, ნ. შეროზია, დ.მახაშვილი
3.		განათლების ისტორია	5	2	2			30	30		✓	✓	ქ.ჭკუასელი, ი.ბასილაძე, ლ.თავდგირიძე, ნ. შეროზია, დ.მახაშვილი
4.		თვისებრივი კვლევა	5	2	2					პედაგოგიკის თეორია 1	✓	✓	რ.სანაძე, ი. ბალანჩივაძე, თ. მიქელაძე ლ.თურმანიძე
5.		რაოდენობრივი კვლევა	5	1	2			160	6	თვისებრივი კვლევა	✓	✓	რ.სანაძე, ი. ბალანჩივაძე, თ. მიქელაძე ლ.თურმანიძე
6.		კვლევის და პროექტების მართვის პრაქტიკული კურსი	5								✓	✓	რუსუდან სანაძე
7.		დოქტორანტის სემინარი	5					125	8		✓	✓	
8		პროფესორის ასისტენტობა	5					125	8		✓	✓	
9		არჩევითი დისციპლინები	5								✓	✓	



პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა

_____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი —20 თებერვალი 2025 წ._____ ფაკულტეტის ბეჭედი